პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 227 (4737)

1972 წ. 16 ნოემბერი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# ასე სახელოვნად გევლოთ, ჩვენო ჭაბუკებო!



ჩვენმა სპორტის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ სულ ახლახან უჟგოროდში გამართულ ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის ფინალურ ტურნირში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა. მან საუკეთესოდ ჩაატარა ეს ძნელი გათამაშება და უძლიერესის სახელი მოიპოვა. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, თბილისის „დინამოს" ყოფილი მოთამაშის, სპორტის ოსტატ ვლადიმერ ელოშვილის აღსაზრდელები ამ შეჯიბრებათა თავისებური რეკორდსმენები არიან: მათ რვაჯერ მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება და მეორედ გახდნენ სსრ კავშირში ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის უძლიერესნი. მადლობის მეტი რა გვეთქმის გამოცდილი მწვრთნელისა და ახალგაზრდა ფეხბურთელთა მიმართ. ვულოცავთ ჭაბუკებს დიდ გამარჯვებას, ვუსურვებთ მომავალშიც სახელოვნად დაიცვათ ქართული ფეხბურთის მდიდარი ტრადიციები!

სურათზე აღბეჭდილი არიან თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის აღზრდილნი — ჩემპიონები: ქვემო რიგში (მარცხნიდან) — გიორგი ივანოვი, ლევან მაყაშვილი, ვახტანგ კოპალეიშვილი, ოთარ გიგოლაშვილი, რევაზ შელია, ზურაბ გაგუა, თეიმურაზ ჩხაიძე, თემურ ბეკურაშვილი; ზემო რიგში — გუნდის უფროსი მწვრთნელი ვლადიმერ ელოშვილი, ვახტანგ ჩოჩიშვილი, ირაკლი ქავთარაძე, ვალერი მტეფანი, გურამ ჩიტაური, ზაზა გომართელი, მურაზ მელაძე, რამიზ მამედოვი, ალექსანდრე ჩივაძე, ნუგზარ გორდაძე, გუნდის მწვრთნელი ჯუმბერ თანანაშვილი.

## ეროვნული თამაშების პროგრამით

ცხინვალის ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს სოფლის სპორტსმენთა ეროვნული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. ასპარეზზე გამოვიდა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, კასპის, საგარეჯოს, დუშეთის, მახარაძის, ლენტეხის, ცხაკაიას, აბაშისა და ლაგოდეხის 80-მდე ფალავანი.

ორდღიანი საინტერესო ბრძოლის შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებულნი. ესენი არიან: ი. დავითაშვილი (დუშეთი), გ. ბეინაშვილი (კასპი), გ. ნავაძე (ლაგოდეხი), დ. ონიანი (ლენტეხი), ჯ. გუთნიაშვილი, ა. შეშაბერიძე, რ. მალაციძე (ყველა — კასპი), რ. ჩოელიანი (აფხაზეთი).

გუნდური პირველობა კასპელმა მოჭიდავეებმა მოიგეს. II ადგილზეა ლენტეხის ნაკრები, III — მახარაძის კოლექტივი.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

## თასის ახალი მფლობელი

ამას წინათ გათამაშდა თბილისის ახალგაზრდა სამბისტთა (1952-55 წლებში დაბადებულნი) გუნდური პირველობა სპორტის დამსახურებული ოსტატის ფ. ჩიკვილაძის სახელობის თასზე. შარშან ეს ჯილდო უნივერსიტეტის ახალგაზრდულმა ნაკრებმა მოიპოვა, ახლა კი არმიელმა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს.

სარბიელზე 7 გუნდი ასპარეზობდა, მაგრამ მთლიანი კოლექტივი (10 კაცის შემადგენლობით) მხოლოდ არმიის სპორტულმა კლუბმა გამოიყვანა. უნივერსიტეტს აკლდა ერთი მონაწილე, „დინამოს", „სპარტაკსა" და „განთიადს" — 2-2. ტურნირს თავი აარიდეს „ლოკომოტივმა" და „შრომითმა რეზერვებმა".

არმიელმა სამბისტებმა პირველი შეხვედრა „მშრალი" ანგარიშით (10:0) მოუგეს „განთიადის" ნაკრებს. მეორე მატჩი მათ ერთ-ერთ მთავარ ფავორიტთან — უნივერსიტეტის გუნდთან ჰქონდათ. არმიელები აქაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ — 6:4. შემდეგ მათ დაამარცხეს „დინამოსა" (9:1) და „სპარტაკის" (7:3) სამბისტები.

როგორც აღვნიშნეთ, გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომი გადაეცათ თბილისის არმიის სპორტკლუბის ახალგაზრდა სამბისტებს (მწვრთნელები ს. ჩიტაშვილი და ა. ფილცხელაური).

შეჯიბრება, რომლის მთავარი მსაჯიც ფარნაოზ ჩიკვილაძის ძმა [illegible] იყო, ორგანიზებულად, მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა.

ჯ. ჯიქურაული.

## სარბიელზე იყო 80-მდე მოჭიდავე

ამას წინათ გორის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდები. ასპარეზობა (მონაწილეობდნენ 1950-53 წლებში დაბადებულნი) სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

პირველობისთვის იბრძოდა „დინამოს", „სპარტაკის", „შრომითი რეზერვების", „ბურევესტნიკის", არმიის სპორტული კლუბისა და სხვა გუნდების 80-მდე მოჭიდავე.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: შ. კოტორაშვილი (ასკ), ი. მილილაშვილი („ბურევესტნიკი"), ნ. ლეინჯილია, შ. ლუტიძე (ორივე — „დინამო") ვ. ხარებავა („შრომითი რეზერვები"), თ. ხოზაშვილი („ბურევესტნიკი"), შ. ახმედოვი („სპარტაკი"), მ. ილურიძე („ბურევესტნიკი"), თ. ბენდიანაშვილი („დინამო"), ნ. მოდებაძე („ბურევესტნიკი").

გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. „დინამო", 2. „სპარტაკი", 3. „შრომითი რეზერვები".

ზ. მეძღვრიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გორი.

ქართული ჭიდაობა

## ტირაჟის შედეგები

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში ცნობილი გახდა შედეგები 31-ე ტირაჟისა, რომელიც რიგაში მოეწყო.

ექვსი სახეობა სწორადაა ამოცნობილი მხოლოდ ორ ბარათზე, რომელთა მფლობელნიც მოსკოვსა და ტაშკენტში ცხოვრობენ.

ჩვენს რესპუბლიკაში ოთხმა კაცმა 2006-2006 მანეთი მოიგო ხუთი ნომრის სწორად ამოცნობით. ის, ვინც ოთხი სახეობა სწორად ამოიცნო, 57 მანეთ მოგებას მიიღებს. საქართველოში ასეთი 172 კაცი აღმოჩნდა. 3236 ბილეთზე სწორადაა ამოცნობილი სამი სახეობა. მათ 3-3 მანეთი მოიგეს.

გაგაცნობთ 30-ე ტირაჟის მოგებებს: 6 სახეობა — 5000 მანეთი; 5 — 1454 მან., 4 — 37 მან., 3—3 მანეთი.

როგორც ცნობილია, „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურმა სამმართველომ „ლელოს" მკითხველებს სთხოვა რესპუბლიკის 5 საუკეთესო სპორტსმენის დასახელება 33-ე ტირაჟში მონაწილეობისთვის, რომელიც 30 ნოემბერს თბილისში უნდა მოეწყოს. გაგახსენებთ, რომ კონკურსი 25 ნოემბრამდე გრძელდება.

ი. ლოპატკინი,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.

## დინამოელებმა იმარჯვეს

თბილისის ველოტრეკზე ჩატარდა ჩვენი დედაქალაქის სპორტსაზოგადოებათა ველოსიპედისტების შეჯიბრება. სტარტზე გამოვიდნენ „დინამოს", „ბურევესტნიკის", „განთიადის", „შრომითი რეზერვების", „ლოკომოტივის", „სპარტაკისა" და „კოლმეურნის" გუნდები. დებულების თანახმად, ჩათვლაში მხოლოდ პირველი თანრიგის შედეგები შედიოდა (ასპარეზობაში 1950-54 წლებში დაბადებულნი გამოდიოდნენ).

1 კილომეტრზე გიტში სათანრიგო ნორმატივი მხოლოდ ხუთმა მონაწილემ შეასრულა. პირველობა დაისაკუთრა განთიადელმა ი. ვოლკოვმა — 1.10,9.

საინტერესო გამოდგა სპრინტერთა ჭიდილი. აქ ყოველ გუნდს ოთხი მონაწილე გამოჰყავდა. ფინალში გაიმარჯვა დინამოელმა თ. შარმაზანოვმა. II ადგილზეა ი. ვოლკოვი, III — ნ. ივანოვი („შრომითი რეზერვები").

საინტერესო იყო 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლა. შეჯიბრება მოიგო დინამოელმა ი. ივანოვმა — 5.12,5. ეს იყო პირველი თანრიგის ერთადერთი შედეგი. 4 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში ვერც ერთმა კოლექტივმა ვერ შეასრულა სათანრიგო მოთხოვნა.

გუნდური გამარჯვება დინამოელებს ხვდათ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „განთიადისა" და „ბურევესტნიკის" ველოსიპედისტები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ უწინ „სპარტაკის" ველოსიპედისტები მუდამ მოწინავეთა შორის იყვნენ, ამჯერად კი ბოლო ადგილზე დარჩნენ. ეს, ჩვენი აზრით, საზოგადოების მწვრთნელთა სუსტი მუშაობის შედეგია.

მ. ერთგულაშვილი.

[illegible]

[illegible]

● რიგა, 14 ნოემბერი. ლატვიის დედაქალაქში დაიწყო სსრ კავშირის XVIII ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. ბრძოლაში ჩაება 20 მოშაშე, რომელთა შორის არიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ი. კუპერმანი, ა. ანდრეიკო, ვ. შჩოგოლევი, ჭაბუკთა შორის მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატში გამარჯვებული ნ. მიშჩანსკი და სხვა ცნობილი ოსტატები. ყოველი სამი ტურის შემდეგ მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება. ჩემპიონატი 8 დეკემბერს დასრულდება.

ქალაქები და რაიონები

## ახალი სპორტული მაღაზია

დღითი დღე უმჯობესდება ზუგდიდის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. ამას წინათ ქალაქის სავაჭრო ქსელს შეემატა კიდევ ერთი კეთილმოწყობილი სპორტული საქონლის სარეალიზაციო მაღაზია. ახალ მაღაზიაში იყიდება სხვადასხვა სპორტული საქონელი და ინვენტარი.

ბ. ალშიბაია,
კ. ფიფია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

# ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

## შრომა და სპორტი მხარდამხარ მიაბიჯებენ

ბელაია ცერკოვის სალტეებისა და რეზინ-აზბესტის ნაკეთობათა კომბინატში შრომისა და სპორტის დიდი დღესასწაულივით ჩატარდა პირველი „ჯანმრთელობის სპარტაკიადა", რომლის სტარტზეც მუშა-მოსამსახურეთა ნახევარზე მეტი გამოვიდა. შეჯიბრების ფინალი „სპარტაკის" საქალაქო სტადიონზე მოეწყო და 600-ზე მეტი კაცი მიიზიდა. 200-ზე მეტმა ფიზკულტურელმა მშდ ახალი კომპლექსის საზაფხულო ნორმატივები ჩააბარა. ახლა ისინი მოუთმენლად ელიან პირველ თოვლს, რომ სათხილამურო კროსში სცადონ ძალა.

სპარტაკიადის სარბიელზე ერთ-ერთი პირველნი გამოვიდნენ კომბინატის დირექტორი მ. მიტროფანოვი, რომელიც ამავე დროს კალათბურთელთა გუნდის კაპიტანია, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ივაშკევიჩი, ქარხნის პროფკავშირის თავმჯდომარე ა. ლიპოვოი. მათ მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივები ჩააბარეს.

რა გასაკვირია, რომ ყველა თაოსნობა სპორტული კომიტეტისა, რომელსაც ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი ვ. როტანენკო და ზეინკალი ნ. კალინინი თავკაცობენ, კომბინატის ხელმძღვანელობის დიდ მხარდაჭერას პოულობს.

ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს მთავარი საზრუნავია კარგი ბაზის შექმნა. განზრახულია მშენებლობა მთელი კომპლექსისა, რომელშიც შევა სტადიონი, სპორტის სასახლე და საცურაო აუზი. დაგეგმილია აიგოს ღია საცურაო აუზი წყლის გათბობით. ჯერჯერობით კი კომკავშირელებმა სახალხო მშენებლობის მეთოდით მოაწყვეს ჩოგბურთის კორტები, კალათბურთისა და ფრენბურთის შესანიშნავი მოედნები. მდინარე როსის ნაპირზე ამას წინათ ნიჩბოსნობის სადგური აიგო.

— ჩვენს ფიზკულტურელებს დიდი პერსპექტივები აქვთ, — ამბობს ვ. როტანენკო. — მივაჩნია, რომ შრომითი წარმატება და სპორტულ-მასობრივი მუშაობა ერთმანეთთან შერწყმული უნდა იყოს. ვამაყობთ ჩვენი ჩემპიონებით. ავიღოთ, მაგალითად, ზეინკალ მიხეილ ზინკევიჩის შედეგები. იგი ჩვენი სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონია: ხელყუმბარა 63 მეტრსა და 70 სანტიმეტრზე ტყორცნა, 100 მეტრი 11,8 წამში გაირბინა და 679 სანტიმეტრ სიგრძეზე გადახტა. ზინკევიჩმა ჩვენს ქალაქში პირველმა მიიღო მშდ კომპლექსის მეოთხე საფეხურის — „ფიზიკური სრულყოფა" — ოქროს სამკერდე ნიშანი. მას არ ჩამოუვარდებიან ოსტატი იური კოზუშკო, ხარატი სტანისლავ ხარჩინსკი, ინჟინრები ალა ბუტენკო, გალინა ტვერიტნევა, ალექსანდრე გარკუშა. ოდესის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ლენა ბოიარმა — პირველთანრიგოსანმა კალათბურთელმა და ხელბურთელმა — საწარმოში მუშაობის დაწყებისთანავე აქტიურად მოჰკიდა ხელი სექციების ჩამოყალიბებას. ენთუზიასტთა გატაცება სხვებსაც აღაფრთოვანებს. რათა ფიზიკური კულტურის მომხრეთა წრე კიდევ უფრო ფართო იყოს, სპორტულ მოედნებს ვაწყობთ პირდაპირ საერთო საცხოვრებლებთან. ეს ხელს უწყობს ახალგაზრდა მუშების დასვენებისა და აღმზრდელობითი მუშაობის პრობლემის გადაჭრას.

ვ. მიხნევი.

ბელაია ცერკოვი.

# როგორ ჩატარდება ქალოსანთა შეჯიბრებები?

იმასთან დაკავშირებით, რომ 1 ოქტომბრიდან ძალოსანთა შეჯიბრებების პროგრამაში აჭიმვა მოიხსნა, ხშირად გვეკითხებიან: რატომ მოხდა ეს, როგორ ჩატარდება ამიერიდან შეჯიბრებები?

ამ შეკითხვებზე გვიპასუხებს საქართველოს სპორტკომიტეტის განყოფილების უფროსი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი დ. კაპლანოვი. მან ჯერ კიდევ 1966 წელს მოსკოვში, სპორტული ტექნიკის პრობლემებისადმი მიძღვნილ საკავშირო კონფერენციაზე დასვა აჭიმვის საკითხი. აჭიმვაში შეჯიბრების არსებული წესები უკვე მაშინ არ შეესაბამებოდა მის შესრულებას.

ცოტა ისტორია...

ძალოსნობის პროგრამაში აჭიმვა ყველაზე ძველია. ამ ვარჯიშით იწყებოდა ძალოსნის ჩამოყალიბება და მისი ძალისმიერი მომზადება. სახეობის განვითარების პროცესში აჭიმვის ტექნიკა და წესები თანდათან იცვლებოდა. ამ მხრივ შეიძლება გამოიყოს რამდენიმე განსაკუთრებით დამახასიათებელი პერიოდი:

აჭიმვის შეუზღუდავად შესრულების პერიოდი. საჭირო იყო მხოლოდ შტანგის აჭიმვა აკვრის გარეშე, ადგილიდან დაუძვრელად. ტანის გადახრის ნორმები დადგენილი არ იყო;

პერიოდი, როცა აჭიმვა მიჩნეული იყო წმინდა ძალისმიერ ვარჯიშად ხელებისა და მხრის სარტყლის გასავითარებლად (აჭიმვა „ჯარისკაცულ" დგომში). შეჯიბრების მკაცრი წესები აჭიმვის ტექნიკის ნიველირებას ახდენდა;

წესების ევოლუციის პერიოდი. ნებადართული იყო ფეხების გადგმა არა უმეტეს 40 სმ-ის სიგანეზე. ეს შეზღუდვა 1956 წელს მოისპო. 1958 წელს შეიცვალა მკერდზე შტანგის ორწამიანი ფიქსაცია. ამ პერიოდში მოხდა აჭიმვის ინდივიდუალიზაცია. განისაზღვრა ხელების ჩავლების რაციონალური ფართი, ფეხების, მენჯის, იდაყვების მდგომარეობა; პერიოდი, როცა აჭიმვის ტექნიკა მუდამ არ შეესაბამებოდა შეჯიბრების წესების მოთხოვნებს. წესებით საჭირო იყო აჭიმვა მხოლოდ ხელებით, სინამდვილეში კი ვარჯიში სრულდებოდა ფეხებით, მთელი სხეულის მონაწილეობით. ამ პერიოდში აღინიშნა შედეგების სწრაფი ზრდა. აჭიმვა მსაჯობაში საჭირბოროტო საკითხად იქცა.

ამ ბოლო ხანს აჭიმვამ ბევრ ძალოსანს შეუშალა ხელი წარმატებაში. თუნდაც ჩვენი შესანიშნავი ათლეტი დიტო შანიძე დავასახელოთ. შარშანდელ მსოფლიო პირველობაში (ლიმა) მან მსაჯების ახირების გამო ნული მიიღო. ეს მაშინ, როცა ქართველი ათლეტი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მთავარი პრეტენდენტი იყო.

შეჯიბრების წესების დარღვევის შედეგად აჭიმვა აკვრის ზიარი გახდა. ხშირად ძალოსნები ამ ვარჯიშში უფრო მეტ წონას ძლევდნენ, ვიდრე აკვრაში. ამან გამოიწვია, რომ 1968 წელს ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე (მეხიკო) აჭიმვის მოხსნის საკითხი დადგა და მან მხოლოდ ორი ხმის წყალობით შეინარჩუნა არსებობა.

საერთაშორისო ფედერაციის დებულებით, ასპარეზობის წესები ოთხ წელიწადში ერთხელ მოწმდება. ამიტომ სწორედ წლევანდელი ოლიმპიური თამაშების დროს მიუნხენში კვლავ დადგა აჭიმვის საკითხი. ამჯერად 49 დელეგატიდან მას მხოლოდ 13 კაცმა მისცა ხმა. გაისიდან ყველა ოფიციალური საერთაშორისო ასპარეზობა, მათ შორის, ევროპისა და მსოფლიო პირველობები, ორჭიდში ჩატარდება. ესე იგი, მოეწყობა შეჯიბრება ატაცსა და აკვრაში. ამ სახის შეჯიბრებებისთვის დროულად მოსამზადებლად ბევრი ქვეყნისა და, მათ შორის, საბჭოთა კავშირის ძალოსნობის ფედერაციებმაც გადაწყვიტეს უკვე დაიწყონ ასპარეზობათა გამართვა ორ ვარჯიშში.

როგორ ჩატარდება შეჯიბრება ორჭიდში?

სსრ კავშირისა და, შესაბამისად, მოძმე რესპუბლიკების ძალოსნობის ფედერაციებმა პირველ ყოვლისა დაადგინეს ამოსავალი სარეკორდო ნორმატივები ორჭიდის ჯამში (ატაცი და აკვრა). ყველა დანარჩენი შეჯიბრების არსებულ წესებს ეთანხმება, კერძოდ:

ატაცი ერთი ილეთით სრულდება. ამასთან, შტანგა ერთი შეუწყვეტელი მოძრაობით ადის თავს ზემოთ ხელების სრულ გამართვამდე. ატაცის დროს ნებადართული არ არის: შტანგის აწევის კიდიდან დაწყება, ხელების ჩავლების ფართის ცვლა, მოძრაობის აჭიმვით დამთავრება, ფიცარნაგთან სხეულის რომელიმე ნაწილით შეხება, გარდა ტერფებისა.

აკვრა ორ ილეთად სრულდება. პირველი ილეთით შტანგა ერთი უწყვეტი მოძრაობით ააქვთ მკერდზე. მეორე ილეთით შტანგა ერთი უწყვეტი მოძრაობით ადის თავს ზემოთ მკლავების მთლიანად გამართვამდე. აკვრის დროს ნებადართული არ არის აწევის კიდიდან დაწყება, ხელებით ფეხების შეხება ხელის მტევნების ამობრუნების შემდეგ შტანგის მკერდზე ატანისას, ხელების ჩავლების ფართის ცვლა მკერდიდან შტანგის აკვრის დროს; შესვენება მკერდზე შტანგის ატანის დროს, აგრეთვე, მკერდიდან აკვრისას მოძრაობის აჭიმვით დამთავრება, ფიცარნაგთან შეხება სხეულის რომელიმე ნაწილით, გარდა ტერფებისა. შტანგის მკერდიდან აკვრა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ.

ძალაში რჩება შეჯიბრების წესების ყველა დანარჩენი განყოფილება. ესე იგი, წონითი კატეგორია ისევ ცხრაა, აწონის წესი — შეჯიბრების დაწყებამდე ერთი საათით ადრე, მისვლათა რიცხვი — სამ-სამჯერ ყოველ ვარჯიშში. გამარჯვებული ვლინდება ორჭიდში დაგროვილი კილოგრამების მიხედვით, ხოლო, თუ შედეგები თანაბარია, ნაკლები საკუთარი წონის გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრება ბევრად უფრო დინამიკური და საინტერესო იქნება მაყურებლებისთვისაც და თვითონ ძალოსნებისთვისაც, რადგან მსაჯის სუბიექტური გადაწყვეტილება გამორიცხულია. ატაცსა და აკვრაში წესები კონკრეტული და მკაცრად განსაზღვრულია, გარდა ერთი პუნქტისა (ეს ჩემი პირადი შეხედულება გახლავთ), რომელმაც შეიძლება მომავალში ხელი შეუშალოს მსაჯობას. კერძოდ, 21-ე პარაგრაფში ნათქვამია: გრიფით ფეხებთან შეხება მუხლებს ზემოთ ნებადართულია, თუ ეს სპორტსმენს შტანგის აწევაში არ ეხმარება. ეს „თუ" მუდამ სადავო იქნება. საჭიროა დავაკონკრეტოთ—შეიძლება შეხება თუ არა. ეს საკითხი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაწყდეს, რათა მსაჯთა ობიექტურობას ჩრდილი არ მიადგეს.

ვფიქრობთ, რომ აჭიმვა საბოლოოდ ამოღებულია ძალოსანთა ასპარეზობის პროგრამიდან. მაგრამ ამ ვარჯიშის გარეშე ძალოსნობა თავისი ახალი სახით — ორჭიდის სახით — ვერ განვითარდება. აკვრასა და ატაცში მეცადინეობის დროს აჭიმვის სწორად გამოყენებაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. აჭიმვას მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა წვრთნის პროცესიდან ვერ ამოვიღებთ. საიდუმლო როდია, რომ ორჭიდში გამარჯვების საკითხს უწინდებურად ძალა გადაწყვეტს, აჭიმვა კი ძალისმიერი მზადების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. აქ გადამწყვეტი სიტყვა მწვრთნელებს ეკუთვნით.

ორჭიდში შეჯიბრებები ახლებურად შეაფასებს ძალოსნებს. სტატისტიკის მოყვარულები ახალ ციფრებზე უნდა გადავიდნენ. ამიერიდან ლაპარაკი იქნება არა „ხუთასიანთა" და „ექვსასიანთა", არამედ „ოთხასიანთა" კლუბზე.

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა საქართველოს პროფსაბჭოს, რიგის, დნეპროპეტროვსკისა და სხვა ქალაქების მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლების აღსაზრდელთა შეჯიბრება. ამ ტურნირში თბილისის მე-60 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ რ. ალახვერდოვმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ი. გიგაური) 600-გრამიანი შუბის ტყორცნაში საქართველოს ჭაბუკთა რეკორდი დაამყარა — 71,40 მ.



სურათზე: რ. ალახვერდოვი ასპარეზობის დროს.

ო. გელაშვილის ფოტო.

## პროექტის „დებიუტი" საბჭოთა მეურნეობაში

ტაშკენტის ოლქის აკურგანის უზბეკეთის სსრ ხუთი წლისთავის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო სპორტულ ნაგებობათა ახალი ტიპური პროექტის განხორციელება. საბჭოთა მეურნეობის სტადიონს ექნება ტრიბუნები 5 ათასი ადგილით. ამ სტადიონზე ჩატარდება ფეხბურთელთა მატჩები, მძლეოსანთა შეჯიბრებები.

ახალ სარბიელს ექნება სპორტული დარბაზი, საერთო საცხოვრებელი, რადიოკვანძი, საშხაპეები, დასასვენებელი ოთახები. ტრიბუნებს უკვე გამზადებული რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისგან აგებენ.

პროექტის კატალოგში ასაწყობი ტრიბუნების რამდენიმე ვარიანტია შეტანილი. ეს პროექტი იმითაც არის კარგი, რომ შედგენილია ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. მაგალითად, აკურგანის ვარიანტში პარკის მხარეს, ტრიბუნების მახლობლად, კლუბი-ჩაიხანაც გაითვალისწინეს.

ანალოგიური შესწორებები, შესაბამისი პირობების გათვალისწინებით, პროექტში შეტანილია კრასნოვოდსკის „ნეფტიანიკის" სტადიონისთვის.

ტიპურ პროექტს შუა აზიის რესპუბლიკების ბევრ ქალაქსა და სოფელში გამოიყენებენ.

ე. ეფიმოვი.

ტაშკენტი.

## მშდ კომპლექსის სტარტებზე

სპორტსაზოგადოება „კოლოსის" ათასობით სტადიონი, სპორტული მოედანი და აუზი მშდ კომპლექსის მრავალჭიდში სოფლის მოსწავლეთა პირველი რესპუბლიკური ასპარეზობის სარბიელად იქცა.

შეჯიბრებები ხუთ ეტაპად ჩატარდება. თავდაპირველად მოეწყობა მასობრივი ტურნირები კლასებს შორის, შემდეგ ჩატარდება რაიონული პირველობები. მშდ-ს სხვადასხვა საფეხურის რაიონულ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი 1973 წლის ივნისში საოლქო ტურნირებში შეხვდებიან ერთმანეთს. ერთი თვის შემდეგ კიევში რესპუბლიკური შეჯიბრება დაიწყება. მეოთხე ეტაპზე გამარჯვებული გუნდების გარდა, სარბიელზე გამოვლენ ნორჩი სპორტსმენები, რომლებიც პირად ჩათვლაში მაღალ შედეგებს მოიპოვებენ.

ფინალებში გამარჯვებულებსა და მათს მწვრთნელებს უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზებსა და დიპლომებს, აგრეთვე, უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და „კოლოსის" ცენტრალური საბჭოს სიგელებს გადასცემენ.

კიევი.

## სპორტული სარბიელი ზღვაში

შორეული აღმოსავლეთის ლენინის ორდენოსანი სანაოსნოს საოკეანო თბომავალ „ანტონ ჩეხოვზე" მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება მთავრდება. მსაჯთა კომისიამ რაციის უფროსის ა. დავიდოვის ხელმძღვანელობით შორეული რეისების რთულ პირობებში საუცხოოდ მოაწყო შეჯიბრება. როცა გემი კამჩატკის პეტროპავლოვსკში იყო, მეზღვაურებმა მარშ-გარბენში მოაწყვეს შეჯიბრება. რბენაში, სიგრძეზე ხტომაში, ხელყუმბარის ტყორცნაში ასპარეზობა კანადის ნავსადგურებში ტარდებოდა.

„ანტონ ჩეხოვის" მეზღვაურებმა ორჯერ მიიღეს მონაწილეობა გემების ეკიპაჟთა საერთაშორისო სპორტულ კვირეულში. მძლეოსანთა ამ პოპულარული ასპარეზობის საერთო გუნდურ ჩათვლაში მათ ორი პრიზი მოიპოვეს, ხოლო პირად შეჯიბრებაში ორი ვერცხლისა და შვიდი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. კანადის პორტ ალბერნიში საბჭოთა მეზღვაურებს ქალაქის უძლიერეს მოჭადრაკეებთან ჰქონდათ მატჩი, რომელიც ყაიმით დაამთავრეს — 4:4.

ვლადივოსტოკი.

## „ჯანმრთელობის ზონის" სპორტული ჯილდო

14 ნოემბერს ბაქოს „ჯანმრთელობის ზონას", რომელმაც არსებობის ათი წლისთავი აღნიშნა, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს გარდამავალი თასი გადაეცა მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საკავშირო დათვალიერებაში გამარჯვებისთვის.

— ჩვენთვის მთავარი მკურნალია, — ამბობს „ზონის" სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი შ. ჰასანოვი, — მზე, ჰაერი, წყალი, ფიზკულტურა, თქვენ წარმოიდგინეთ, მუსიკა და ყვავილებიც კი.

ქალაქის ცენტრში, ზღვის ნაპირზე გაშლილ „ჯანმრთელობის ზონაში" გულმოდგინედ შრომობენ ფიზიკური კულტურის სპეციალისტები. ისინი ამუშავებენ მეცადინეობის მეთოდიკას პაციენტების ასაკის, ხასიათისა და ავადმყოფობის გათვალისწინებით.

„ზონის" ფილიალები ბაქოს ბევრ რაიონშია შექმნილი.

ქალაქის ცენტრში მდებარე ამ თავისებური კურორტის პოპულარობა დიდი ხანია აზერბაიჯანის ფარგლებს გასცდა. აქ სამკურნალოდ საბჭოთა კავშირის სულ სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოდიან.

სტუმრად ჩამოსულმა კონექტიკუტის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორმა უ. მაკეიმ აღნიშნა, რომ სხვაგან არსად უნახავს მოსახლეობისთვის პროფილაქტიკური დახმარების ასეთი ეფექტური მასობრივი ორგანიზაცია.

ბაქო.

[illegible] მოგზაურობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — ასკ (თბილისი) 5:1. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

ჩემპიონობის პრეტენდენტებმა — სამტრედიის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა საუცხოოდ ჩაატარეს ეს საპასუხისმგებლო მატჩი, კოლექტიურად, მონდომებით ითამაშეს და დამაჯერებლადაც გაიმარჯვეს. უკვე პირველი ტაიმის შემდეგ „ლოკომოტივი" დაწინაურდა — 2:0 (ბურთები გაიტანეს ქავთარაძემ და დვალიშვილმა). რკინიგზელებს უპირატესობა არც შესვენების შემდეგ დაუთმიათ და არმიელთა კარში კიდევ სამი ბურთი აღმოჩნდა ქავთარაძის, კოხრეიძისა და მეკარე კაპანაძის (11-მეტრიანი) ზუსტი დარტყმების შემდეგ.

ერთადერთი საპასუხო გოლი ჩომახიძემ გაიტანა.

არასპორტული საქციელისთვის გაფრთხილებული არიან თბილისელი ვ. გუბელაძე და სამტრედიელი ვ. ჩაჩუა.

სამტრედიის „ლოკომოტივმა" პირველად მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება. დებულების თანახმად, ჯგისად იგი მონაწილეობას მიიღებს „ა" კლასის II ლიგის გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში.

● „მეშახტე" (ტყიბული) — „შუქურა" (ქობულეთი) 4:4. მსაჯი გ. გუჯაბიძე (ფოთი).

ტყიბულელ ფეხბურთელებს რესპუბლიკურ ჩემპიონატში II ადგილი უზრუნველყოფილი აქვთ. აღსანიშნავია, რომ ქობულეთელთა კარში ოთხივე ბურთი თოდიძემ გაიტანა.

● „კოლხეთი" (ხობი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 1:2. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

● „დინამო" (ზუგდიდი) — „გიგანტი" (ლაითური) 2:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

მას შემდეგ, რაც ჯოჯუამ და კემულარიამ ორი ბურთი გაიტანეს ლაითურელთა კარში, მასპინძლებმა ტემპს უკლეს. ამით კარგად ისარგებლა ჩარკვიანმა და ერთი გოლი გაქვითა. შემდგომში დინამოელმა კოროლიოვმა ვერ გამოიყენა პენალტი. ამ გამარჯვებით ზუგდიდის „დინამომ" III საპრიზო ადგილი დაიკავა საქართველოს ჩემპიონატში.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილება მიეცათ „გიგანტის" მოთამაშეებს თ. ჩარკვიანსა და ნ. ჭანუყვაძეს. ეს მათი მეორე გაფრთხილებაა წლეულს.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 5:1. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია" (ხაშური) 3:2. მსაჯი ლ. ალავიძე (თბილისი).

სტუდენტი ფეხბურთელები წარმატებით ატარებენ ბოლო ტურების მატჩებს. ამ შეხვედრაში 57-ე წუთისთვის ისინი დაწინაურდნენ ანგარიშით 3:0 და სამივე ბურთი ხაშურელთა კარში ქილიფთარმა გაიტანა. მატჩის დასასრულს უპირატესობამ „ივერიის" მხარეს გადაინაცვლა, რომელმაც შეძლო სხვაობის მინიმუმამდე შემცირება (ლომსაძე, ოსაძე).

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ხაშურელი თ. ლომსაძე. ეს ამ ფეხბურთელის მესამე გაფრთხილებაა წლევანდელ სეზონში.

● „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „სულორი" (ვანი) 1:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

● „კახეთი" (თელავი) — „სამცხე" (აწყური) 2:1. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).

ანგარიში გაიხსნა იმით, რომ აწყურელმა რეხვიაშვილმა საკუთარ კარში გაიტანა ბურთი. ეს გოლი მე-60 წუთზე გაქვითა ცირეკიძემ, მერე კი ტოლოკოლნიკოვმა დააწინაურა „კახეთი".

● „განთიადი" (ბორჯომი) — „კოლმეურნე" (წულუკიძე) 5:2. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სულორი" (ვანი) 3:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

### II ჯგუფი

#### I ზონა

„მევენახე" (ვაზისუბანი) — „მევენახე" (ბოლნისი) 3:2, „ვაზი" (შრომა, გურჯაანის რაიონი) — „დურუჯი" (ყვარელი) 0:0, „მესხეთი" (ახალციხე) — „გარისი" (თეთრი წყარო) 4:2, „ცისკარი" (სიღნაღი) — „შევარდენი" (თბილისი) 1:1, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „არაგვი" (დუშეთი) 3:3, „შევარდენი" (თბილისი) — „ავტომობილისტი" (ცხინვალი) 2:1, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „კოლმეურნე" (ტიბაანი) 1:0, „არაგვი" (დუშეთი) — „ცისკარი" (სიღნაღი) 1:1, „გარისი" (თეთრი წყარო) — „ვაზი" (შრომა, გურჯაანის რაიონი) 1:4, „დურუჯი" (ყვარელი) — „მევენახე" (ვაზისუბანი) 1:0, „მევენახე" (ბოლნისი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 4:1, „კოლმეურნე" (ტიბაანი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 2:2.

#### II ზონა

„იმერეთი" (თერჯოლა) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 0:0, „დინამო" (ქუთაისი) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 5:1, „სამგურალი" (წყალტუბო) — „განახლება" (ადიგენი) 3:2, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „ჩიხურა" (საჩხერე) 3:3, „კომეტა" (ფოთი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 0:5, „ჩიხურა" (საჩხერე) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 3:0, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „სამგურალი" (წყალტუბო) 2:1, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „იმერეთი" (თერჯოლა) 3:3, „მაღაროელი" (ჭიათურა) — „მზიური" (გალი) 4:0, „სქური" (წალენჯიხა) — „დიოსკურია" (სოხუმი) 3:2.

ჩოხატაურის „ბახმაროს" მოგება ჩაეთვალა ჩხოროწყუს „კოლმეურნესთან", ოჩამჩირის „ამირანს" — სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატის გუნდთან, ხოლო ადიგენის „განახლებას" — ქუთაისის „დინამოსთან".

### ზონალური შეჯიბრება

კოჩარის საბჭოთა მეურნეობა „საქართველოს" გუნდი (ოჩამჩირე) დამარცხდა ჩაქვის „ავტომობილისტთან" — 1:2.

ურედვის საბჭოთა მეურნეობის გუნდს (ცხინვალი) ყველა დარჩენილ შეხვედრაში წაგება ჩაეთვალა.

# საქართველოს ჩემპიონატი

# სამტრედიის „ლოკომოტივი" — რესპუბლიკის ჩემპიონი

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 16 ნოემბრისთვის

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 38 | 28 | 8 | 2 | 78—35 | 64 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 38 | 25 | 9 | 4 | 85—38 | 59 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 38 | 19 | 9 | 10 | 63—33 | 47 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 39 | 15 | 13 | 11 | 56—61 | 43 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 38 | 14 | 13 | 11 | 67—59 | 41 |
| „კახეთი" (თელავი) | 38 | 17 | 7 | 14 | 56—58 | 41 |
| „სულორი" (ვანი) | 39 | 15 | 10 | 14 | 43—40 | 40 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 38 | 15 | 9 | 14 | 66—53 | 39 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 38 | 15 | 9 | 14 | 60—50 | 39 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 38 | 12 | 13 | 13 | 37—42 | 37 |
| „ივერია" (ხაშური) | 38 | 15 | 6 | 17 | 46—64 | 36 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 38 | 15 | 5 | 18 | 57—59 | 35 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 38 | 14 | 7 | 17 | 54—66 | 35 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 38 | 14 | 7 | 17 | 47—61 | 35 |
| „სამცხე" (აწყური) | 38 | 13 | 8 | 17 | 64—61 | 34 |
| ასკ (თბილისი) | 38 | 10 | 14 | 14 | 49—52 | 34 |
| „ისანი" (თბილისი) | 38 | 11 | 12 | 15 | 35—44 | 34 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 38 | 11 | 11 | 16 | 34—44 | 33 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 38 | 10 | 10 | 18 | 59—67 | 30 |
| „კოლმეურნე" (წულუკიძე) | 38 | 8 | 8 | 22 | 27—62 | 24 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 38 | 5 | 10 | 23 | 26—60 | 20 |

### II ჯგუფი

#### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ვაზი" (შრომა, გურჯაანის რაიონი) | 30 | 21 | 5 | 4 | 69—28 | 47 |
| „ავტომობილისტი" (ცხინვალი) | 29 | 19 | 2 | 8 | 68—25 | 40 |
| „ვარძია" (ასპინძა) | 30 | 17 | 6 | 7 | 42—24 | 40 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 29 | 16 | 7 | 6 | 44—28 | 39 |
| „ცისკარი" (სიღნაღი) | 29 | 16 | 6 | 7 | 33—20 | 38 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 29 | 14 | 5 | 10 | 39—36 | 33 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 30 | 14 | 4 | 12 | 42—40 | 32 |
| „მევენახე" (ბოლნისი) | 29 | 11 | 6 | 12 | 56—42 | 28 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 29 | 11 | 6 | 12 | 46—43 | 28 |
| „კოლმეურნე" (ტიბაანი) | 29 | 10 | 7 | 12 | 36—44 | 27 |
| „მევენახე" (ვაზისუბანი) | 29 | 9 | 7 | 13 | 43—51 | 25 |
| „შირაქი" (წითელი წყარო) | 29 | 9 | 7 | 13 | 32—51 | 25 |
| „შევარდენი" (თბილისი) | 29 | 9 | 5 | 15 | 27—53 | 23 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 29 | 7 | 6 | 16 | 36—53 | 20 |
| „გარისი" (თეთრი წყარო) | 29 | 6 | 3 | 20 | 26—73 | 15 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 30 | 4 | 0 | 26 | 12—40 | 8 |

#### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 30 | 21 | 7 | 2 | 63—16 | 49 |
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 30 | 22 | 3 | 5 | 55—18 | 47 |
| „განახლება" (ადიგენი) | 30 | 17 | 4 | 9 | 51—33 | 38 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 30 | 11 | 12 | 7 | 46—30 | 34 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 30 | 14 | 6 | 10 | 58—44 | 34 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 30 | 12 | 10 | 8 | 43—34 | 34 |
| „დიოსკურია" (სოხუმი) | 30 | 14 | 4 | 12 | 56—46 | 32 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 30 | 10 | 10 | 10 | 50—42 | 30 |
| „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) | 30 | 10 | 9 | 11 | 38—40 | 29 |
| „კომეტა" (ფოთი) | 30 | 10 | 9 | 11 | 49—52 | 29 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 30 | 10 | 8 | 12 | 53—45 | 28 |
| „განთიადი" (აბაშა) | 30 | 8 | 5 | 17 | 28—50 | 21 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 30 | 8 | 5 | 17 | 38—68 | 21 |
| ხდკ (სამტრედია) | 30 | 6 | 7 | 17 | 40—75 | 19 |
| „მზიური" (გალი) | 29 | 5 | 7 | 17 | 25—54 | 17 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 29 | 6 | 4 | 19 | 41—87 | 16 |

### ზონალური შეჯიბრება

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფეიქარი" (ქუთაისი) | 9 | 6 | 1 | 2 | 10—7 | 13 |
| „ავტომობილისტი" (ჩაქვი) | 9 | 6 | 0 | 3 | 22—11 | 12 |
| „რუბეროიდი" (გარდაბანი) | 7 | 5 | 0 | 2 | 13—6 | 10 |
| „ყინწვისი" (ქარელი) | 7 | 5 | 0 | 2 | 12—9 | 10 |
| „ლიახვი" (გორის რაიონი) | 8 | 4 | 2 | 2 | 10—12 | 10 |
| კოჩარის საბჭოთა მეურნეობა „საქართველო" (ოჩამჩირე) | 9 | 1 | 1 | 7 | 8—19 | 3 |
| ურედვის საბჭ. მეურნ. (ცხინვ.) | 12 | 1 | 0 | 11 | 8—19 | 2 |

# დიდი ფეხბურთელი



გარდაიცვალა თბილისის „დინამოს" გამოჩენილი ფეხბურთელი, ძველი თაობის მოთამაშეთა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სკკპ წევრი, ვიქტორ პორფირის ძე პანიუკოვი.

ვ. პანიუკოვი დაიბადა 1917 წელს ბაქოში. იქვე სწავლობდა და საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ამიერკავკასიის ფედერაციის სახელობის ქარხანაში მუშაობდა ზეინკლად. მან ბავშვობიდანვე გამოიჩინა თავი, როგორც მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულმა სპორტსმენმა, დიდი წარმატებები ჰქონდა რამდენიმე სახეობაში, მაგრამ მისი ნამდვილი გატაცება და მოწოდება ფეხბურთი იყო. თამაში დაიწყო ჯერ ბაქოში, შემდეგ გამოდიოდა პიატიგორსკისა და სმოლენსკის გუნდებში, მერე კი, 1939 წელს, თბილისის „ლოკომოტივის" ოსტატთა კოლექტივში მიიწვიეს.

ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელის მდიდარი შესაძლებლობანი უყურადღებოდ არ დარჩენილა. მალე ვ. პანიუკოვი თბილისის „დინამოში" გადაიყვანეს. 1940 წლიდან მოყოლებული, 13 წლის მანძილზე მისი სახელი განუყრელადაა დაკავშირებული ქართული ფეხბურთის განვითარებასა და წინსვლასთან.

ფეხბურთში არ არსებობს სპორტსმენის შეფასების ისეთი კონკრეტული ერთეულები, როგორიც, ვთქვათ, მძლეოსნობაში ან ძალოსნობაშია, ამიტომ ძნელია რაიმე დადგენილი მაჩვენებლით შეფასდეს ცალკეული ფეხბურთელის ძალა, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ: ვიქტორ პანიუკოვი მიეკუთვნებოდა ექსტრა-კლასის ფეხბურთელთა იმ კატეგორიას, რომლის კვალიფიკაცია არა თუ დავას, იოტის ოდენა ეჭვსაც არ იწვევს. დღეს ბევრი ლაპარაკია ფეხბურთელის უნივერსალობაზე, თამაშის დიდ ინტენსიფიკაციაზე, დიდ დატვირთვაზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვ. პანიუკოვი იყო სწორედ თანამედროვე ფორმაციის, უნივერსალი ფეხბურთელის კლასიკური ტიპი. თბილისის „დინამოში" არ ყოფილა ადგილი, რომელზეც მას არ ეთამაშოს — ცენტრალურ თავდამსხმელადაც, გარემარბადაც, შუამარბადაც, ნახევარმცველადაც, მცველადაც, სტოპერადაც და, ასე წარმოიდგინეთ, მეკარედაც კი.

ვ. პანიუკოვის სპორტული გმირობა ლეგენდად შემორჩა სამამულო ფეხბურთს. 1941 წლის საკავშირო ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში თბილისის „დინამო" ლენინგრადში ადგილობრივ „სპარტაკს" ხვდებოდა. თბილისელებს უკვე ჰყავდათ შეცვლილი ერთი მოთამაშე, როცა მსაჯმა წესის დარღვევისთვის მინდვრიდან გააძევა მეკარე ა. ტყებუჩავა. სარბიელზე დარჩენილი 10 დინამოელიდან კარის დაცვა მიენდო ვ. პანიუკოვს, რომელსაც მანამდე ლენინგრადელთა კარში ორი ბურთი ჰქონდა გატანილი. მას სახელდახელოდ ჩააცვეს მეკარის სვიტერი და ვიქტორი შეუდგა უჩვეულო მოვალეობის შესრულებას. მოხდა გაუგონარი, განსაცვიფრებელი ამბავი: პანიუკოვმა აიღო რამდენიმე ძნელი ბურთი, მერე მოიგერია პენალტი (!) და ამის შემდეგ დანიშნული მეორე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა განერვიულებულმა მეტოქემ კარს ააცდინა.

ვრცელი დიაპაზონის, მახვილი ტაქტიკური აზროვნების, უმაღლესი ტექნიკის მქონე, სწრაფი, გამძლე ფეხბურთელი იყო ვ. პანიუკოვი. როგორ შეიძლება დაავიწყდეს ფეხბურთის ჭეშმარიტ მოყვარულს ის ურთულესი, ჭკვიანური კომბინაციები, რომლებსაც მინდორზე ქარგავდა ეს უნიკალური ოსტატი, ან მისი ყუმბარისებური დარტყმები კარში ნებისმიერი მანძილიდან. თბილისის „დინამო", ქართული ფეხბურთი, დიდად უნდა უმადლოდნენ თავიანთ წარმატებებს ვიქტორ პანიუკოვს, კაცს, რომელმაც თავის ნამდვილ სამშობლოდ საქართველო გაიხადა.

ფეხბურთი იყო ვ. პანიუკოვის სისხლხორცეული საქმე. სარბიელიდან წასვლის შემდეგ იგი მწვრთნელად მუშაობდა რესპუბლიკის სხვადასხვა გუნდში, არასდროს მოსცილებია ტყავის ბურთს.

ცხოვრებაშიც ენერგიული, გონიერი, იუმორით აღსავსე, ერთგული მეგობარი იყო ვიქტორ პანიუკოვი. მისი ხსოვნა მარად დარჩება ფეხბურთის მოყვარულთა მეხსიერებაში და ჩვენს გულში.

ვეტერანი ქართველი ფეხბურთელები.

## რამდენიმე სტრიქონით

### ✦ გორი

რაიონის საშუალო სკოლების ფეხბურთელთა პირველობაში ყველას აჯობეს მერეთის წარმომადგენლებმა, ხოლო რვაწლიან სკოლებს შორის — ნიქოზელმა მოსწავლეებმა.

• • •

სოფელ სვენეთის საშუალო სკოლაში მოეწყო შიდასაკოლექტივო საშემოდგომო სპარტაკიადა. შეჯიბრების პროგრამაში იყო ფრენბურთი, მძლეოსნობა, ქართული ჭიდაობა, ფეხბურთი და შაში. საერთო გუნდური პირველობა მეცხრეკლასელებმა დაისაკუთრეს.

გ. მთვარელიძე,
რაიონის მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორი.

• • •

პედინსტიტუტის ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიისა და ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტების სტუდენტებმა შეხვედრა მოუწყვეს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, რადიოსა და ტელევიზიის სპორტულ კომენტატორს კ. მახარაძეს. მის შემოქმედებით გზაზე დამსწრეებს ესაუბრა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნ. ჯანბერიძე. შემდეგ კ. მახარაძეს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა. შეხვედრის დასასრულს კ. მახარაძემ დამსწრეებს მიუნჰენის ოლიმპიადაზე მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარა.

ი. თევდორაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იმედი გაუცრუვდათ

გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების კიდევ 2 მატჩი კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის.

**ბრნო.** ადგილობრივმა „ზბროიოვკამ" ავსტრიის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს — ატსვ-ს უმასპინძლა. პირველ ტაიმში ბრძოლა თანაბარი იყო. მასპინძლები მხოლოდ ტაიმის მიწურულს დაწინაურდნენ (47:31), შესვენების შემდეგ კი მათ მთლიანად იგდეს ხელთ ინიციატივა და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 105:73.

**ბუდაპეშტი.** „ჰონვედისა" და ბელგიის ბას-ის ორთაბრძოლამ უნგრელ გულშემატკივრებს იმედი გაუცრუა. მართალია, „ჰონვედმა" მოიგო მატჩი (85:77), მაგრამ 8-ქულიანი სხვაობა საპასუხო შეხვედრაში წარმატების გარანტიას არ იძლევა.



**მ**ოულოდნელი გამარჯვება სპორტში მუდამ ახალ ემოციებს იწვევს. ეს ემოციები ორგვარია: ხარბიელზე წარმატების რწმენით გამოსულისთვის ხელის მოცარვა, წმინდა სპორტული შედეგი რომ არ მივიღოთ მხედველობაში, მორალურად და ფსიქოლოგიურად ერთობ სამძიმოა, და პირიქით, მოულოდნელი გამარჯვების მოზეიმე გუნდი თუ სპორტსმენი სწორედ ამ „დაუგეგმავი" წარმატების სიხარულს გაასკეცებულად განიცდის. გამარჯვებას გულშემატკივრები დაუოკებელი აღტაცებით ეგებებიან, მით უმეტეს, თუ მაყურებელთა შორის სპორტსმენთა ახლობლებიც არიან.

### ობიექტივში მსოფლიო

ამ სურათებზეც სწორედ ასეთი მომენტებია აღბეჭდილი. ზედა ფოტოზე თქვენ ხედავთ იაპონიის ფეხბურთელთა ოლიმპიურ ნაკრებს, როცა იგი მექსიკის გუნდთან შეხვედრაში მოულოდნელ გამარჯვებასა და ბრინჯაოს მედლების მოპოვებას ზეიმობს (ალბათ გახსოვთ, მეხიკოში იაპონელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს მასპინძლები). იაპონელები აი, ასე ულოცავენ გამარჯვებას თავიანთ მწვრთნელს კ. ნაგანუმას.

ქვედა სურათს ფოტორეპორტიორმა „გამარჯვების კოცნა" უწოდა. ევროპის ჩემპიონი საშუალო წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის ჟ. დიურანი ქანცგაცლილი გადაესვენა თოკზე, როცა მე-15 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით სძლია გერმანელ ი. ელცეს. დიურანის მეუღლე გასახდელ ოთახში ქმრის შესვლას არ დაელოდა, არც აცია, არც აცხელა, რინგზე ავარდა და მხურვალედაც მიულოცა ქმარს წარმატება. იტალიის რინგზე გადაღებულმა ამ სურათმა მსოფლიოს ბევრი სპორტული ფოტოგამოფენა მოიარა.

ასოშიეიტედ პრესისა და იუნაიტედ პრესის ფოტოები.



# ხუთი დღე ბულგარელ აკრობატებთან

ახლახან სოფიაში გაიმართა სსრ კავშირისა და ბულგარეთის აკრობატთა სამატჩო შეხვედრა. საბჭოთა ნაკრებს მეთაურობდა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს აკრობატიკის ფედერაციის თავმჯდომარე მ. ქელეხსაშვილი.

ხოფიიდან დაბრუნებულ საბჭოთა გუნდის მწვრთნელს ვთხოვეთ პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

**● საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში თბილისელი სპორტსმენებიც იყვნენ — თედეევი, ლომთაძე, სლივკოვი და დელიბალტოვი. რას გვეტყვით მათს და საერთოდ საბჭოთა გუნდის გამოსვლაზე?**

— მართალი გითხრათ, ბიჭებმა გამახარეს. მათმა ჯგუფურმა ვარჯიშმა მოხიბლა არა მარტო მაყურებელი, არამედ ასპარეზობის მონაწილეები, მწვრთნელები. მსაჯებმა ღირსეულად შეაფასეს მათი გამოსვლა და I ადგილიც მიაკუთვნეს. ჩვენი ოთხეულის წევრები მე-6 და 31-ე პროფტექნიკური სასწავლებლების აღზრდილები არიან. ისინი ამ ბოლო წლებში წარმატებით გამოდიან სხვადასხვა შეჯიბრებაში. საკმარისია ითქვას, რომ ამ ოთხეულმა 1970 წელს სსრ კავშირის თასი მოიპოვა, წლეულს კი საკავშირო ჩემპიონატში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, სოფიის მატჩი ჩვენებისთვის პირველი საზღვარგარეთული ტურნე გახლდათ.

კარგად გამოვიდნენ სსრ კავშირის ნაკრების დანარჩენი წევრებიც. გუნდი მთლიანად „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს აკრობატებით იყო დაკომპლექტებული. მხტომელ ვაჟებში გაიმარჯვა ოსტროუხოვმა, ქალებში — ბუტენკომ, შერეულ წყვილებში უძლიერესნი იყვნენ მალკინა და არახჩიევი. სტუმართაგან მხოლოდ ვაჟთა წყვილმა დათმო პირველობა.

**● საერთოდ რა აზრისა ხართ ამ სამატჩო შეხვედრაზე?**

— სოფიაში გატარებულმა ხუთმა დღემ, უდავოდ, კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა და ბულგარელ აკრობატთა მეგობრობა. რა თქმა უნდა, ეს დღეები ძალიან მნიშვნელოვანი იყო სპორტული თვალსაზრისითაც. ჩავატარეთ ერთობლივი საწვრთნელი მეცადინეობები, გავუზიარეთ ერთმანეთს გამოცდილება. მომეწონა ბულგარელ მწვრთნელთა მუშაობის მეთოდი, კერძოდ ის, რომ თითოეული მწვრთნელი სპორტსმენს აკრობატიკის მხოლოდ ერთ სახეობაში ავარჯიშებს.

საერთოდ, სოფიაში საბჭოთა ნაკრების გამოსვლამ სპორტული საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენი გუნდი ბულგარელ სპორტის მოყვარულებს მოსწონდათ. შეჯიბრების მსვლელობას ფართოდ აშუქებდა პრესა. ასპარეზობა ჩინებულად იყო მოწყობილი.

თავისუფალ დროს მასპინძლებმა დაგვათვალიერებინეს სოფიის ღირსშესანიშნავი ადგილები. ვიყავით დიმიტროვის მავზოლეუმში, დიდი ინტერესით დავათვალიერეთ სპორტული ნაგებობები, სპორტსკოლები. მოგვეწონა სპორტსმენთათვის განკუთვნილი სპეციალური სასტუმროები, რომლებსაც საკუთარი მოედნები, და დარბაზები აქვს.

**● და ბოლოს, ტრადიციული შეკითხვა: უახლოეს ხანში რომელ შეჯიბრებაში გამოვა ჩვენი ოთხეული?**

— ამჟამად ჩვენი მთავარი საზრუნავი ვარშავის საერთაშორისო შეჯიბრებაა, რომელიც ნოემბერში გაიმართება. საბჭოთა ნაკრები იქ სხვა შემადგენლობით გაემგზავრება, ვინაიდან „შრომითი რეზერვების" ცენტრალურ საბჭოში სხვა კარგი აკრობატებიც გვყავს. ჩვენს ოთხეულს ცენტრალურ საბჭოში ჯერჯერობით სერიოზული მეტოქეები არ ჰყავს. მისი იმედი ვარშავაშიც მაქვს.

ამას წინათ საკდესი იტყობინებოდა აკრობატთა თასის გათამაშების შესახებ, რომელიც ბაქოში გაიმართა. ბევრს გაუკვირდა, როცა თბილისელთა ოთხეული პრიზიორთა შორის ვერ იხილა. ახლა ვსარგებლობთ შემთხვევით და გაუწყებთ, რომ ჩვენს აკრობატებს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, ვინაიდან იმ დროს სოფიაში გამოდიოდნენ.

საუბარი ჩაიწერა
ა. გურასაშვილმა.

### ... 1945

◆ **კიოლნი, 15 ნოემბერი.** მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა ამხანაგური მატჩი მოუგო „კიოლნს" — 1:0. ბურთი 23-ე წუთზე გაიტანა ბაიდაჩნიმ.

◆ **ლონდონი, 15 ნოემბერი.** დიდი ბრიტანეთისა და ევროპის ვეტერან ფეხბურთელთა აქ გამართული შეხვედრა საქველმოქმედო მიზნით ჩატარდა — ბილეთების შემოსავალი ახალი საფეხბურთო მინდვრების მოწყობას მოხმარდება. მასპინძლები დამარცხდნენ — 4:5. 5 ათასმა მაყურებელმა კვლავ იხილა ფეხბურთის ვარსკვლავები ფონტენი (საფრანგეთი), ჰენტო (ესპანეთი), ჰაპელი (ავსტრია), რაიტი, ჩარლზი (ინგლისი). სწორედ ჩარლზი აღმოჩნდა ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი — მეტოქეთა კარში მან სამი გოლი გაიტანა.

◆ **კოპენჰაგენი, 15 ნოემბერი.** გაიმართა ხელბურთელ ქალთა გუნდების 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა. მესამე ფინალურ ქვეჯგუფში გასასვლელად საბჭოთა ნაკრებს შესარჩევი მატჩის ჩატარება მოუხდება ბულგარელებთან. ამ ქვეჯგუფში ფინალის საგზურებისთვის იბრძოლებენ გდრ-ის გუნდი და ჰოლანდია — პოლონეთის საკვალიფიკაციო მატჩში გამარჯვებული.

◆ **ლორიანი, 15 ნოემბერი.** საფრანგეთის ამ ქალაქში გაიმართა ევროპის ახალგაზრდა ფეხბურთელთა (ასაკი — 23 წლამდე) პირველობის მატჩი: საფრანგეთი — ირლანდია. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

◆ **ვარშავა, 15 ნოემბერი.** პოლონეთის ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა კონტინენტის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში ანგარიშით 2:0 სძლია დანიის გუნდს.

◆ **მაგნიტოგორსკი, 15 ნოემბერი.** ვ. ალექსეევმა, ვ. კურენცოვმა, ვ. კოლოტოვმა, დ. რიგერტმა, გ. ჩეტინმა და სხვა ცნობილმა ძალოსნებმა რსფსრ-ს ჩემპიონატში იასპარეზეს. ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრება სსრ კავშირში პირველად ჩატარდა ახალი წესებით: პროგრამაში მხოლოდ ორი მოძრაობა იყო — ატაცი და აკვრა. რეკორდებს ბევრმა ძალოსანმა შეუტია, მაგრამ ამაოდ. ბოლო დღეს მძიმეწონოსანთა შორის პირველად ვიხილეთ კოლოტოვი, რომელმაც ორჭიდში 357,5 კგ დააგროვა. მერე ფიცარნაგზე ალექსეევი გამოვიდა და ზემძიმე წონაში ჩემპიონი 387,5 კილოგრამის დაგროვებით გახდა. გუნდურ ჩათვლაში I ადგილზეა როსტოვის ოლქის ნაკრები. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან მოსკოვის ოლქისა და ნოვოსიბირსკის ძალოსნები.

### მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო

იანვრის პირველ რიცხვებში ნიგერიის დედაქალაქ ლაგოსში II აფრიკული სპორტული თამაშები ჩატარდება. პროგრამაშია სპორტის 11 სახეობა.

შეჯიბრების საზეიმო გახსნა და დახურვა მოეწყობა ახლადაგებულ ეროვნულ სტადიონზე, რომელიც 50 ათას მაყურებელს იტევს. სპეციალისტების აზრით, ეს სტადიონი ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და საუკეთესოა მსოფლიოში.

ფეხბურთი

ხელბურთი

ძალოსნობა

## ევროპის ფეხბურთის ამბები

### ჩემპიონატები, თასები, ლიგები

### ინგლისი

გათამაშების XVII ტურში წაგების მიუხედავად, პირველობის ლიდერმა „ლივერპულმა" მაინც შეინარჩუნა მეწინავეობა. მაგრამ ლივერპულელთა ეს მარცხი სენსაციად მიიჩნიეს, ვინაიდან მათ ანგარიშით 0:2 წააგეს აუტსაიდერთან — „მანჩესტერ იუნაიტედთან". ამ გამარჯვების წყალობით მანჩესტერელებმა, რომლებიც წლევანდლამდე წარმატებით გამოდიოდნენ ეროვნულ ჩემპიონატებში, ბოლო ადგილს დააღწიეს თავი გათამაშების ცხრილში. ახლა, 17 თამაშის შემდეგ, მათ 12 ქულა აქვთ, „ლივერპულს" კი 24 (10 მოგება, 4 ფრე, 3 წაგება, ბურთების ბალანსი 32—18).

წინა, XVI ტურში „ლივერპულმა" ლონდონის „ჩელსი" დაამარცხა — 3:1. II ადგილზე მყოფმა „არსენალმა" (ლონდონი) შინ წააგო „კოვენტრი-სიტისთან" — 0:2. „იფსვიჩ თაუნმა" ფრედ (2:2) ითამაშა „ლიდს იუნაიტედთან". ასეთივე ანგარიშით დამთავრდა „ლესტერ სიტისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრა.

„მანჩესტერ სიტიმ" დიდი ანგარიშით (4:0) დაამარცხა ქვეყნის ჩემპიონი „დერბი ქაუნთი".

„კრისტალ პალასმა", რომელიც ბოლო ადგილს „ეცილება" „მანჩესტერ იუნაიტედს", მოუგო ლივერპულის „ევერტონს" — 1:0.

XVII ტურში „არსენალმაც" და „ლიდს იუნაიტედმაც" გამარჯვებით დაამთავრეს შეხვედრები და 23-23 ქულით II და III ადგილები უკავიათ სატურნირო ცხრილში.

### შოტლანდია

X ტურში ქვეყნის ჩემპიონმა — გლაზგოს „სელტიკმა" ანგარიშით 3:1 სძლია „დანდი იუნაიტედს" და ლიდერობა განიმტკიცა, ხოლო „ჰიბერნიენმა" „კილმარნოკის" დამარცხებით (4:1) II ადგილზე გადაინაცვლა. „პარტიკ თისტლმა" წააგო „აბერდინთან" — 0:2. „ჰარტ ოვ მიდლოთიენმა" სტუმრად ანგარიშით 3:1 სძლია „ფალკირკს".

პირველი ხუთეული ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 10 | 8 | 1 | 1 | 26—9 | 17 |
| „ჰიბერნიენი" | 10 | 7 | 1 | 2 | 23—11 | 15 |
| „დანდი იუნ." | 10 | 7 | 0 | 3 | 20—14 | 14 |
| „აბერდინი" | 10 | 5 | 3 | 2 | 20—12 | 13 |
| „ჰარტ ოვ მიდლ." | 10 | 6 | 1 | 3 | 16—10 | 13 |

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 10284